

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დალი კვარაცხელია
თანამდებობის დასახელება- კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება — „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისი(ებ)ის დასახელება - სოციალურ საკითხთა კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი - 2016 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 21

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 28
კომისიის სხდომებზე დასწრება _ 28

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 14
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 14

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017–2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამების შესახებ;
- დ) ლეიკემიით დაავადებულ ავადმყოფთა დაფინანსების პროგრამის შესახებ.
- ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის თაობაზე
- ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N2 საჯარო სკოლისათვის თემურ ფიფიას სახელის მინიჭების თაობაზე.
- თ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების შესახებ.
- ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე.
- კ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ლ) ობიექტის ადმინისტრაციული ერთეულის სამესხიოს უბანში ჭაბურღილისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბოგაშის უბანში საძოვრების ინვესტირებზე გასხვისება.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -17 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 400

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ჯგალის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, ლეთოფურეს, ლეხარჩილეს, კანთისა და ლეხუბულეს (ლესალე) უბნებში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება; მოსახლეობის სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, როგორცაა წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, საბავშვო ბაღებისთვის ინვენტარის შეძენა, სანიაღვრე არხებისა და ცხურების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, წყალსადენის რეაბილიტაცია და სხვა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 15 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

აქტიურად ვმონაწილეობ სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობაში. დავესწარი კომისიის მიერ ორგანიზებულ ყველა სხდომას.

შევესების თარიღი- 27.10.2017 წ.

წარდგენის თარიღი 27.10.2017 წ.

ხელის მოწერა

